

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2019 წელი, 25 იანვარი

ქ.ოზურგეთი

15.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ.ორაგველიძე, ხ.ცერცვაძე, ლ.კილაძე, ჯ.თავართქილაძე, ბ.თოიძე, თ.ტულუში, ვ.ნიჭარაძე, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.ნინიძე, ვ.ჩხაიძე, ვლ.დლონტი, თ.ბურჭულაძე, ლ.მგელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეთხილეობის დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხს: გ.კილაძე

თანამომხს: ა.გირკელიძე

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეთხილეობის დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ, აღინიშნა, რომ გასულ წელს მიღებული 11 ათასი ტონა ნედლეულიდან ხარისხიანი იყო მხოლოდ 2 ათასი, კულტურა და მოსავალი დააზიანა არა მარტო ფაროსანამ, არამედ სხვა გავრცელებულმა დაავადებებმაც. თანამომხსენებელმა ილაპარაკა შესაბამისი სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიმდინარე წელში დაგეგმილ ღონისძიებებზე, კომისიის წევრმა ნ.ორაგველიძემ გამოთქვა აზრი სახელმწიფოს მიერ ჩაის კულტურის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შემუშავების აუცილებლობაზეც. კომისიის წევრმა ლ.ნინიძემ, ილაპარაკა მეფუტკრეობის დარგში არსებულ საგანგაშო მდგომარეობაზე, მისი აზრით გამოიზამთრებს და შენარჩუნებული იქნება ოჯახების მხოლოდ 20%.

კომისიამ ცნობად მიიღო მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინფორმაცია.

გადაწვდის:

ცნობად იქნეს მიღებული მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეთხილეობის დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ“.

გოჩა კილაძე



კომისიის თავმჯდომარე
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია